№ 248. 9 დეკემბერი, პარასკევი. 1866—1883 9 დეკემბერი, პარასკევი. № 248.

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით)	— — 9 მან.	6 თვით	— — 5 მან.
11 თვით	— — 8 მ. და 50 კ.	5 თვით	— — 4 მ. და 50 კ.
10 თვით	— — 8 მან.	4 თვით	— — 4 მან.
9 თვით	— — 7 მ. და 50 კ.	3 თვით	— — 3 მან.
8 თვით	— — 7 მან.	2 თვით	— — 2 მან.
7 თვით	— — 6 მან.	1 თვით	— — 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.

კვირას, 11 დეკემბერს.

პირველი დებიუტისათვის ბ. ქავთელისა ქართული დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ორ-ცეცხლ-შუა

დრამა 3 მოქმედ. თხზ. ე. ჟირარდენისა, ნათარგმნი ბ. მაჩაბელისა.

II

პირველად

გამოცდა ნიშნობის წინა დღით

კომედია-ვოდევ. თხზ. მოჩხუბარიძისა.

დასაწყისი 8 საათზედ. (3—1)

შინაური ქრონიკა

≈≈ ქუთაისიდგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: «დღეს, 6 დეკემბერს, ქუთაისში შეიკრიბენ სამეგრელო-იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენელნი. წირვის გამოსვლის შემდეგ, ორ საათზედ, ეახლენ მისს ყოვლად-უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს და მიულოცეს ოც-და-ხუთის წლის მწყემსმთავრული სამსახური იმერეთში; უსურვეს დღეგძელობა და კარგად მყოფობა, რომ მისი განათლებული მოღვაწეობა მისდამი ღვთისგან შთაბარებულს სამწყსოს დიდხანს არ მოაკლდეს. მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ დიდის კმაყოფილებით და მხიარულებით მიიღო სამღვდელოების წარმომადგენლები და მოკლე, მაგრამ გრძნობით პასუხი უთხრა მილოცვაზედ. ეს ოც-და-ხუთი წელი შესრულდა, რაც მე მღვდელ-მთავრად ვარ იმერეთშიო, ბძანა მისმა ყოვლად-უსამღვდელოებამ,—ამა დროის განმავალობაში ბევრი წარჩინებული ნიშნები მიმიღია და დიდად ვმადლობ ღმერთსაო, მაგრამ ყველაფერზედ უფრო დიდად ვაფასებ იმ გრძნობას, რომელმაც თქვენ დღეს ჩემთან მოგიყვანათო; ილოცევდით ჩემთვისაო, ბძანა, სხვათა შორის, მისმა მეუფებამ. ამ სიტყვებმა ბევრს ცრემლები მოგვგვარა და გული აუყუჩა. ამ იუბილეის მისალოცავად მობძანდა მისი მეუფება სამეგრელოის ეპისკოპოსიც ბესარიონი, რომელიც მიმლოცველთა ღირსეული წარმომადგენელი და წინამძღვარი ბძანდებოდა. მიულოცეს მისს მეუფებას იუბილეი სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებმაც, რომელთაც მისმა მეუფებამ მოაგონა მათი მძიმე მოვალეობა ღვთისა და ქვეყნის წინაშე. იუბილეის დღესასწაულობა ოფიციალურად იქნება მომავალს წელიწადს. ამის ნებას სთხოვენ მის ყოვლად-უსამღვდელოესს ექსარხოს პავლეს. სამეგრელო-იმერეთის სამღვდელოებასა სურს, რომ მისის მეუფების გაბრიელის სახელობაზედ დანიშნოს ორი სტიპენდია: ერთი სემინარიაში და ერთიც თბილისის საეპარქიო ქალების სკოლაში, და ამით ისედაც დაუვიწყარი სახელი მისის მეუფებისა უკვდავ-ჰყოს. ამისათვის საჭირო ფული შეიკრიბება იუბილეის დღესასწაულისათვის.

«დღეს მისმა მეუფებამ სწირა კლასიკურს გიმნაზიაში; წირვის შემდეგ წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება იქონია, როგორც მოსწავლე ყმაწვილებზედ, ისე სხვა მაყურებლებზედაც. შესანიშნავი ის არის, რომ მისი მეუფების სიტყვა ყოველთვის უბრალოა, როგორც ყოველის ჭეშმარიტის ეკლესიის მქადაგებელისა, მაგრამ იმდენსაკი ეუბნება სულსა და გულს, რომ არ შეიძლება, გული არ გაგიხსნას და ფიქრებისა და კეთილ-შობილურის გრძნობების მორევში არ შეგაცუროს. მისს მეუფებას ჩვეულებად არა აქვს გაზეთში აბეჭდინოს ხოლმე თავის სიტყვები, თორემ დღეს წარმოთქმულს სიტყვას მკითხველებსაც გავუზიარებდით.

≈≈ მკითხველებმა იციან, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ სოფ. დიდ-თონეთში სკოლა გახსნა. ეს სკოლა, როგორც გვწერენ, 10 ნოემბერს უკურთხებიათ. კურთხევაზე დასწრებია და უთქვამს სიტყვა ბ. კოსტ. იოსების-ძე ყავრიშვილს, რომელმაც პირველმა განიზრახა ამ სოფელში სკოლის გახსნა და რომელიც ეხლა სკოლის მზრუნველად ითვლება. ბ. ყავრიშვილმა შეაწია ხუთი თუმანი ფული ამ სკოლას და აგრეთვე აღუთქვა თავის საკუთარი ტყიდგან მუქთად მასალის მიცემა. ამ გვარ თანაგრძნობისათვის დიდს მადლობას ვუცხადებთ...

«დროების» ფელეტონი, 9 დეკემბ.

ეკონომია თუ აგრონომია?

(ახალი გუთნების გასინჯვის გამო)

ამ უკანასკნელს დროს ჩვენი სასოფლო მეურნეობა ერთს ფრიად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს,—არათუ სამეურნეო საზოგადოება, კერძო პირნიც კი აგრონომიულ სისტემას დაადგნენ, ცხოვრების გაუმჯობესობის უმთავრეს იარაღად აღიარეს ამ სისტემის განხორციელება. ხშირად შეხვდებით გაზეთებში—აქ ახალი გუთნები გასინჯეს, იქ სამეურნეო საზოგადოება ამასა და ამას სცდილობსო. სჩანს, რომ ჩვენს ცხოვრებასაც არ აკლია სიფხიზლე, თუმცა, სამწუხაროდ, ეს სიფხიზლე მეტად მცირეა. საყურადღებო კიდევ ის არის, რომ ჩვენი მწერლობა არ აქცევს ჯეროვანს ყურადღებას ამ სიფხიზლეს, გამოფხიზლებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აწინდელი აგრონომიული მოძრაობა (თუ ეს სიტყვა გამოდგება) მთლად კერძო პირების და სამეურნეო საზოგადოების საქმეა. აქ ჩვენს მწერლობას თითქმის არა გაუკეთებია-რა, ჯერაც არ გამოუკვლევია—რა უფრო საჭიროა ჩვენთვის: ეკონომია თუ აგრონომია?

სულ სხვა სურათს შეხვდებით რუსეთში. იქ ხვნა-თესვის, საზოგადოდ სასოფლო მეურნეობის შესახებ ვაჩაღებულია დიდი ბაასი და ეს არათუ მარტო ცხოვრებაში, არამედ მწერლობაშიც. იქ სხვა-და-სხვა თეორიებს ჰქადაგებენ, სხვა-და-სხვა მიმართულებას აღიარებენ. ბრძოლა მაცარია, ჭეშმარიტებაც გზას იკვლევს... რუსეთის მწერლობაში სასოფლო მეურნეობის წარმომადგენელნი ორს დასად განიყოფებიან, ორს ბანაკად არიან დაბინავებულნი. ერთი დასის მწერალნი ამტკიცებენ, მხოლოდ აგრონომიული ცოდნა აკლია, ახალი სამეურნეო იარაღები არ მოეპოვება, ამისათვის ეკონომიამ უპირატესობა აგრონომიას უნდა დაუთმოსო. მეორე მწერლების აზრით კი საზოგადო ეკონომიური კანონი იმას ითხოვს, რომ ყოველს ოჯახს იმოდენი მამული ჰქონდეს, რამოდენის შემუშავებაც შეუძლიან. სადაც ეს კანონი დარღვეულია, იქ აგრონომია ბევრს ვერას უშველის, იქ აგრონომიული თეორიის განხორციელება ხელს უწყობს მხოლოდ მდიდარ მებატონეებს. და რომ ეს მართალია, უმატებენ ხსენებული მწერლები, სხვათა შორის, იმ ფაქტითაც მტკიცდება, რომ ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც აგრონომიული თეორიის მომხრენი უფრო დიდი მამულის მესაკუთრენი არიანო. ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რამოდენად საფუძვლიანია ეკონომიური თეორია, ამ თეორიის დედა-აზრი...

რუსეთს რომ თავი დავანებოთ და კერძოდ ჩვენს სამშობლოზედ დავიწყოთ ბაასი, იგივე უნდა ვსთქვათ, რასაც რუსეთში ამბობენ ეკონომიური თეორიის მქადაგებელნი. სტატისტიკური ცნობები, მართალია, ხელად არა გვაქვს, მაგრამ ჩვენს აზრს თვით ცხოვრება, სინამდვილე ამტკიცებს. იგივე სინამდვილე ამბობს, რომ რაც დრო და ჟამი გადის, იმდენი უფრო ოჯახს აკლდება მიწა და მაშასადამე ეკონომიური თეორია ჩვენშიც სასტიკად ითხოვს განხორციელებას. თუ ეს ასეა, მაშ დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ის მიმართულება, რომელსაც ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობა ჰსურს მარტო აგრონომიულის გზით, საშუალებითა. როგორც რუსეთში, ისე ჩვენში ჯერ საჭიროა საკმაო მიწა და მერე ამ მიწის ახალის იარაღებით და ცოდნით შემუშავება და ეს იმიტომ, რომ აწინდელი აგრონომიული განვითარებაც საკმარია, თუ კი საჭირო მიწა-მამული ექნებოდა.

მკითხველი გვიპასუხებს, რომ შეუძლებელი საქმეა—იმოდენი მიწა ეჭიროს, რამოდენის შემუშავება შეუძლიან, რადგანაც ხალხი მრავლდება და მამულების რაოდენობა კი

ლობას უცხადებენ დიდ-Ოონეთელები ბ. Უაერიშვილს. ამ ჟამად სკოლაში სწავლობენო 45 ბავშვი: 35 ვაჟი და 10 ქალი. მომეტებული ნაწილი ამ ბავშვებისა შიშველ-ტიტველნი დადიანო და კარგი იქნება, მანგლისში მცხოვრებმა განათლებულმა ხალხმა ბ. Უაერიშვილს მიჰბაძონ და სკოლას ნივთიერის მხრით შემწეობა გაუწიონო.

〰 Სალიანიდამ გვწერენ: «როდესაც წარსულ წელს მთავარ-მმართებელი ჯევათში ბძანდებოდა, სხვათა შორის, ერთ აუცილებელ საჭიროებად სცნო მდინარე მტკვრის ისე გაწმენდა, რომ ქასპის ზღვიდგან მინგეჩაურამდის მაინც შეეძლოთ გემებს თავისუფლად სიარული. ამ საქმეზე მთავარ-მმართებლის ბძანებით გამოგზავნილი იქმნა სამხედრო ინჟენერი კაპიტანი ლ—ევი, რომელმაც ხანგრძლივი მოგზაურობით ბორჯომიდგან ქასპის ზღვამდე დაწვრილებით გამოიკვლია მტკვრის ხასიათი, როგორც გეოგრაფიულის, აგრეთვე გიდრო-ტეხნიკურის მხრითაც. ამაზედ შეადგინა პროექტი და, როგორც ისმის, წარსულ ოქტომბერს წარადგინა მთავარ-მმართებლის რჩევაში.

«ამ გვარად მტკვრის ამოლრმავება ძალიან კარგი იქნება, მაგრამ ერთი რამ გარემოებაა, რომელმაც იქნება ამ საქმეს ხელი შეუშალოს.

«დაბა სალიანის ცოტა ზემოთ მტკვარი ორ შტოდ იყოფა: მარჯვენა-აკუშა და მარცხენა დიდი მტკვარი. ეს შტოები აქედგან სამოცი ვერსის სივრცეზე ცალ-ცალკე ერთვიან ქასპიის ზღვასა. მარცხენა შტო, დიდი-მტკვარი იჯარით არის გაცემული და თავისი ბუნებითი სიმდიდრით (თევზეულობით) წლიურ შემოსავალს სძენს ხაზინას ოთხასი ათას მანეთამდე. რაიცა შეეხება მარჯვენა მხარე აკუშას, ის ბუნებისაგან დაჩაგრულია და თევზი არ შედის.

«ეს შტოები რომ დაიარა ინჟენერმა ლ—ევმა, აღიარა, რომ ჩემი პროექტის ძალით დიდი მტკვრის შტო უნდა დაშრეს და წყალი სულ აკუშაში უნდა ვადავიდესო. მართლა, თუ ეს ასე მოხდა, შესაძლებელია, რომ ის აუარებელი სიმდიდრე თევზისა, რომელიც ეხლა დიდი მტკვრის შტოში შემოდის, აკუშაში სრულებით აღარ შემოვიდეს და მაშინ, ცხადია, კავკასიის შემოსავალ ბიუჯეტს ერთი საუკეთესო კუთხე უეცრად ჩამოეგლიჯება.»

〰 Სოხუმიდამ გვატყობინებენ, რომ სოხუმის მაზრაში აქა-იქ საქონლის ჭირი გაჩნდა და ადგილობრივი მთავრობა ძლიერ ცდილობს ეს ჭირი დროზე მოსპოსო.

〰 Იქიდამვე გვწერს ჩვენი კორესპონდენტი: ჩვენი ქვეყანა მსაჯულებში და გამომძიებლებში უილბლო ყოფილაო. ჯერ იყო და ზედი-ზედ ორი მსაჯული მოგვიკვდა უეცრად და ამ დღეებში გამომძიებელი გვარად ს. ჭკუიდამ შეიშალაო.

〰 ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლები იანვრიდამ მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესის ექსარხოსის ხელში გადავაო.

〰 Სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის თავმჯდომარე ბატ. ქოსტ. ერისტ.-ძე მამაცაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: «პელაგია ანტონის ას. დაფქვიევისამ და სხვებმა 4 დეკემბერს გამართეს კონცერტი ღარიბ ქართველ მოსწავლეთათვის და წმინდად შემოსული ფული ას-ოცდა-ორი მანათი და ათი შაური შესწირეს თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბ მოწაფეთა. ეს ფული მე მივიღე როგორც თავსმჯდომარემ. ამ ფულის შემოწირვისათვის დიდს მადლობას უძღვნის კომიტეტი პელაგია ანტონის ასულს დაფქვიევისას და სხვათა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ამისთანა კეთილ საქმეში.»

〰 ჩირიკის მღვდელი ვასილი ლ.ქავა გვთხოვს დაგვეჭდოთ შემდეგი შენიშვნა: «თქვენს პატივცემულ გაზეთის 238 №-ში ფასანაურიდგან იწერებიან, ვითომც მე, (მღვდელი ვ. ლ—ავა) როცა დღეობებში გაევრთვები, ჩემს მოვალეობას ვეიწყებდე ისე, რომ ხანდისხან მიცვალებულის დასამარხავათაც კი აღარ მივდიოდე.

«ეს რომ მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა, მე ამის დამტკიცებას არ შევუდგები და ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ თუ ამ ამბის მომწერს ცოტა რამ სიმართლე მიუძღვის, თავის გვარი და სახელი გამოაცხადოს,—მაშინ გამოვაჩენ ჩემს სიმტყუნესაც და იმის სიმართლესაც. თუ კიდევ არ გამოაცხადა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ იმან მე ცილი დამწამა და ამის გამო მეც თვითონ საჭიროდ აღარ ჩავთვალი იმისთანა კაცის ნაწერებზე თავი ვიმართლო.»

ქართული თეატრი

(«აღმზრდელები» კომ. ა. მოჩხუბარიძისა, «დილა ქორწილის შემდეგ» კომ. ვოდ. მის

წარსულს წლებში თავი ვერ უჩენია, მხოლოდ იმისთვის, რომ თავის ნიჭიერების შესაფერს გზას არა ადგა. ბ. აწყურელი ორივე პიესაში ძალიან რიგიანად თამაშობდა და საზოგადოებამაც კარგად მიიღო იგი. ამ დღესაც აწყურელს ეტყობოდა ნამდვილი მოთამაშის ნიჭი. მელიქოვის ქალი პირველს პიესაში თამაშობდა ერთობ უფერულს როლს; უკანასკნელს დრამატიულს სცენაში კი არა უჭირდა-რა; ვოდევილში შესაფერს როლს არა თამაშობდა.

ერთი სიტყვით, თითქმის ყველამ კარგად აღასრულა თავისი როლები, ყველას ეტყობოდა როლების შესწავლა; რაიცა სხვებზე ვთქვით, ისევე უნდა ვთქვათ ქ. მმინაროვისაზე. ბოლოს უნდა შევნიშნოთ ბ. თომაშვილს, რომ მეტის მეტად კარიკატურულად მორთვა და მანჭვაობა მოთამაშეს არ შეჰშვენის.

ხალხი ამ გზობით ჩვეულებრივზე მომეტებული დაესწრო წარმოდგენაზე და ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა აქტიორების თამაშითა. რასაკვირველია, შემდეგისათვის მომეტებული ხალხი დაესწრება წარმოდგენაზე, თუ მოთამაშენი იმავე მეცადინეობას არ მოუკლებენ.

უცხოეთი

— «ნაციონალ ცეიტუნგ»-ში დაბეჭდილია ტელეგრამა ვენიდგან,—ამ ქალაქის დიპლომატიურ წრეებში ხმები დადის, რომ ვითომც სამს იმპერატორს ერთად თავის მოყრა უნდოდეთ. ეს ერთმანეთის ნახვა შედეგიაო ბისმარკსა და გირსის შუა მოლაპარაკებისა და დაამტკიცებსო, რომ გერმანიისა და რუსეთის შორის უთანხმოება მოისპო და ხელახლად ჩამოვარდა მეგობრობაო. ზემოხსენებული გაზეთი უმატებს თავის მხრით, რომ ეს ცნობა არ არის ოფიციალურად შემოწმებული და ამიტომ ძნელი დასაჯერიაო.

— «ბერლინის ბირჟის კურიერი» ამბობს, ვითომც ამ დღეებში ქ. კენიგსბერგს დაატუსაღეს ვიღაც რუსის კაპიტანი, რომელიც შტატსკურად ყოფილა გადაცმული და რომელზედაც აუღიათ ეჭვი. ვითომც მას სდომებოდეს ქალაქის პლანის გადაღება. გაჩხრეკის დროს, მართლაც უპოვნეს მას რამდენიმე სურათი. კაპიტანი ჩააბარებიათ სასამართლოსათვის.

— ხალხთა შორის მშვიდობიანობის ჩამომგდებ ლიგას მიუწერია ინგლისის მინისტრის გრენვილისათვის წერილი, რაშიაცა სთხოვს, რომ გრენვილმა იკისროს შუამავლობა საფრანგეთსა და ჩინეთს შუა მორიგებისა ომის ასაცდენად. წერილში ამბობს ლიგა, რომ აღმოსავლეთის განხეთქილება შეაიარაღებს საფრანგეთის წინააღმდეგ სხვა ევროპიელ სახელმწიფოთაც და ამით დაირღვევა ევროპის მშვიდობიანობაო. ლიგა აპირობს აგრეთვე გაგზავნოს გრენვილთან დეპუტაცია, რომ უფრო დიდი მნიშვნელობა და გავლენა მისცეს ინგლისის გადაწყვეტილებას ამ საქმეში. ლორდმა გრენვილმა უპასუხა ლიგას ამაზედ, რომ მართალია, მესმის ამ საქმის დიდი მნიშვნელობაო და გულით მოწადინებული ვარ ვუშველო რამე მას, მაგრამ ეხლანდელ დროში არა მჯერა, რომ რაიმე გამოვიდეს ამ მეცადინეობისაგანაო.

— კაიროდგან იწერებიან ერთს ინგლისურ გაზეთში, რომ დარფურის პროვინციის ვიცე-გუბერნატორმა გაიცხადა თავისი ქვეშევრდომობა ცრუ-წინასწარმეტყველს მახდის. ამ პროვინციის გუბერნატორად ნამყოფი ავსტრიელი სლატინ-ფაშა მიემგზავრება კაიროში უდაბნოთი. ის ამბობს, ვითომც დარფურის მცხოვრებნი მზად არიან აჯანყებისადაო.

— ამ დღეებში ქ. ნიუ-იორკმა იდღესასწაულა ინგლისელებისაგან შტატების ასი წლის განთავისუფლების იუბილეი. დღესასწაულობდნენ ხმელეთზედაცა და ზღვაზედაც, სადაც მოხდა ფლოტის გასინჯვა. ამ იუბილეის დასაგვირგვინებლად ნიუ-იორკში დაუდგამთ სტატუა დიდებული ვაშინგტონისათვის.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

6 დეკემბერს.

პეტერბურგი. «კანონთა კრებაში» გამოცხადებულია პეტერბურგის და მოსკოვის კომერციული ბანკის წესდება.

როსტოვი დონზე. 8 დეკემბერს იხსნება კრება დონის ცეცხლის გემების პატრონებისა, ამხანაგობათა და ტყის მოვაჭრეთა იმის განსამარტებლად, თუ რა ღონისძიება იხმარონ დონის ნავოსნობის გასაუმჯობესებლად.

სოფია. სახალხო კრებამ მიიღო ყოველნი ცვლილებანი კონსტიტუციისა, რომელნიც არიან ნაჩვენებნი მთავრის ბძანებაში. ამ გვარად წესდდებიან ზემო პალატა და დეპუტატთა პალატა; პირველში იქნება 45, ხოლო მეორეში 100 წევრი.

პარიჟი. ანამის მეფის მოკვლა ნამდვილად მტკიცდება; ფრანცუზებმა მოსპეს ანამის მმართებლობასთან ყოველივე ოფიციალური დამოკიდებულობა.

რომი. დღეს გერმანიის მემკვიდრე პრინცმა პაპა ნახა.

7 დეკემბერს.

პეტერბურგი. გუშინდელი დღისთვის დანიშნული საეკკლესიო პარადი გადასდვეს.

ხმებია, რომ სახელმწიფო რჩევამ დაამტკიცა პროექტი მომავალი წლიდამ სახლეულ მამულთა გარდასახადის მომატებისა.

«პეტერბურგის უწყებები» იწერებიან, რომ წრევანდელს სეზონში ორი საპარადო ბალი საზამთრო სასახლეში გაიმართება და ექვსი გამერბალი ანიჩკისაში; დიდს მთავარს ვლადიმირ ალექსანდრეს ძეს ექნება ბალი კოსტიუმებით და ტანცაობის საღამო. დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის დაქორწინება საზამთრო სასახლეში იქნება და შემდეგ მარმარილოს სასახლეში გამართვენ ბალს და ორს რაუტს.

სამზღვარ-გარეთიდამ მოელიან: ედინბურგის ჰერცოგს და ჰერცოგინიას, პრუსიის პრინცს ვილჰელმს და მემკვიდრე პრინცთა საქსონიისა და დანიისას, ელინების დედოფალს და ჩერნოგორიის მთავარს.

პარიჟი. პალატამ გადასწყვიტა კიდევ 20,000,000 ფრანკი კრედიტი მიეცეს ტონკინის ექსპედიციისათვის.

ლონდონი. მთავრობას აუწყეს ხელ-მოუწერელი წერილებით, რომ შეთქმულობა არის—ლონდონის ხიდი და ნიუგეტის საპყრობილე ააფეთქონ; ამის გამო ამ ადგილებს გულ-მოდგინედ დარაჯობენ; მიიღეს აგრეთვე ჯეროვანი ზომები გლადსტონის სიცოცხლის დასაცველად; გლადსტონი ამ ჟამად თავის მამულში გავარდენში იმყოფება.

ეკატერინოსლავი. გუბერნიის საერო კრებამ გადასწყვიტა: იშუამდგომლოს, რომ კერძო ბანკებისაგან გასაყიდად დანიშნულს მამულებზედ, რომელთაც არავინ იყიდის, შეატყობინონ ხოლმე

დაარსდა განხეთქილება. ამ შუღლს ადგილი არ ექნებოდა, თუ კი ეკონომიური დამოკიდებულება მოისპობოდა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ დამოკიდებულება ისევ დარჩა...

ყოველივე ზემოდ ნათქვამი ამტკიცებს, რომ ჩვენშიაც გლეხ-კაცობის მეურნეობის გაუმჯობესობისათვის პირველად საჭიროა ეკონომიური ცვლილება... ეს ცვლილება შეიტანს სათნოებას ცხოვრებაში, ურთიერთობითს კავშირს მეურნეობაში და მისცემს ფართო მიმდინარეობას შემუშავებითს ძალას.

იქნება მკითხველმა იფიქროს, რომ განსაკუთრებული მდგომარეობა საქართველოსი ითხოვს აგრონომიულ გზას დაადგეს მთავრობა, რადგანაც ჩვენი მეურნეობა შედარებით დაბალს ხარისხზე სდგას. თუ მკითხველი ისეთივე აზრისაა ჩვენს მეურნეობაზე, როგორც პროფესორი ჳრედენი (იხ. «დროება» № 219), რასაკვირველია, ის მართალი იქნება, მაგრამ საქმე ის არის,—მეურნეობითი განვითარება, თუ მიწა-მამული? თქვენც დამეთანხმებით, რომ მეურნეობითი განვითარება ჩვენში ისე მცირე არ არის, რომ მას უპირველესი ყურადღება მივაქციოთ. შედარებით რომ ითქვას, ჩვენი კაცი მეურნეობაში არა სდგას დაბლა რუსეთის მუჟიკზე. ვინ ამბობს—ჩვენც გვაკლია მეურნეობითი განვითარება, მაგრამ ამაზე ხომ არა ვლაპარაკობთ. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ...

კერძოდ ჩვენს გლეხ-კაცობაზე ეს ითქმის, რომ გლეხი გულ-გრილად უცქერის სამეურნეო საზოგადოების მოქმედობას—ახალი გუთნების, სხვადა სხვა იარაღების შემოღებას და სხვ. იგი კარგად ჰხედავს, რომ ჯერ საჭიროა საკმაო მიწა-მამული და მერმე იქნება საჭირო იყვეს ზენის ანუ რანსომის გუთანი. და რომ გლეხი უარ-ჰყოფს აგრონომიულ გზას,—აი ამისი მაგალითიც:

ნოემბრის პირველ რიცხვებში ს. ტირძნისის მებატონემ ი. დ. სულხანოვმა გვთხოვა ჩვენ დავსწრებოდით ზენის გუთნის გასინჯვაზე. ბატ. სულხანოვი კარგა ხანია სამეურნეო საზოგადოების წევრად ირიცხება და თავის ღვაწლით დიდი სამსახურიც მიუძღვის საზოგადოების წინაშე. ცხინვალის მაზრაში იგი ერთა-ერთი მებატონეა, რომელიც სცდილობს ევროპიულად განაწყოს სასოფლო მეურნეობა. მისი ფერმა საუკეთესო ფერმად ითვლება და კიდეც აგრონომი-სტუდენტები მოდიან აქ პრაქტიკული მუშაობისათვის. ამის წინად სამეურნეო საზოგადოებას გამოუწერია ქ. ოდესიდგან ზენის რამოდენიმე გუთანი და ერთი გამოუგზავნია ბატ. სულხანოვისათვის გასასინჯავად. გასინჯვაზე გლეხ-კაცობა ბლომად დაესწრო. ქართული გუთანი, ზენისა და რანსომისა—აი რა შევადარეთ ერთიერთმანეთს. ბატეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ, თუმცა ზენის გუთანი თავის აგებულობით ძალიან მიაგავს ჩვენს გუთანს, მაგრამ ბევრმა ისევ ჩვენი გუთანი ამჯობინა. მაგრამ ჩვენთვის აქ ის არ არის საჭირო—რომელი გუთანი სჯობიან, რომელი უფრო კარგია; ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იყო იმაზე—თუ რანაირის თვალით შეხედავს გლეხი ამ ვარჯიშობას, გასინჯვას. გლეხ-კაცობის მხრივ გულ-გრილობა ცხადი იყო, მისი სიმპატია მამა-პაპურს გუთანს ეკუთვნოდა და ეს მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩვენი გუთანი ბევრად კარგია, არა—ამ გულ-გრილობის მიზეზი სულ სხვა იყო: გლეხი პირ-და-პირ აცხადებდა—ოღონდაც მამული საკმაო მქონდეს და ახალი გუთანი საჭირო არ არისო...

...რომ, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში აგრონომიული თეორიის მომხრენი თითქმის სულ მებატონეები არიან. ეს ადვილად მისახვედრია: ხსენებული თეორია ხელს უწყობს უმისოთაც შეძლებულს მებატონეებს...

ნ. ურბნელი.

ნოემბრის 22.
გორი.

საგლეხო ბანკს, რათა გლეხებმა იყიდონ ეს მამულები ვალის გადატანით და დარჩენილი ფულის გადახდით.

ლონდონი. საღამოს გაზეთების ცნობა შესახებ შეთქმულობისა ლონდონის ხიდის და ნიუგეტის საპყრობილის აფეთქებაზე უსაფუძვლო გამოდგა.

რომი. იტალიის მეფემ და გერმანიის ვრინცმა ჯარს დახედეს; დედოფალიც ეტლით დაესწრო; ჯარი ჩინებული აღმოჩნდა; ხალხმა აღტაცებით მიიღო მეფე და ვრინცი და ამით გერმანიისადმი თანაგრძნობა გამოიჩინა.

ზაბრები. ხორვატიის სეიმის სხდომა ვრეზიდენტმა დიდის არეულობის დროს დახურა; ეს არეულობა მოახდინეს უმცირესობის წევრთა და გალერეაში თავ-მოყრილმა სტუდენტებმა; ვრეზიდენტსა და უმეტესობის წევრთ შეურაცხება მიაყენეს.

პეტერბურგი, 8 დეკემბერს. გუშინ იყო მეექვსე და უკანასკნელი სხდომა ურთიერთ შორის ზღვევის წარმომადგენელთა, სადაც გადასწყვიტეს ვალდებულებითი დაზღვევა იმ ქალაქებში, რომლებშიაც ურთიერთ შორის დაზღვევის საზოგადოება არსებობს. ამ კრებამ მავნებელად იცნო დაარსება ერთის ურთიერთშორის ზღვევის საზოგადოებისა მთელის რუსეთისათვის. კრება დაიხურება 10 დეკემბერს და კრებაში მონაწილეთ მიიღებს შინაურ საქმეთა მინისტრი.

გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო რჩევამ მიიღო სამხედრო მინისტრის აზრი შესახებ განსაკუთრებული კრედიტისა არმიისა, თერგისა, ყუბანის და სხვათა ოფიცერთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობისათვის. ამ საქმისათვის გადადებული 386,000 მანათი უნდათ მოიხმარონ ვოლკის ბიბლიოთეკებისა და კლუბებისათვის.

ლონდონი. გაზეთები ამბობენ, რომ ეგვიპტეში რამდენიმე ვოლკი გაიგზავნებაო; ამას იმიტომ ჩადიანო, რომ ინგლისის გარნიზონებს ეგვიპტეში მიმატება ეჭიროვებათ, რადგან სუდანში კარგა-ძალი ეგვიპტის ჯარი წავიდა ბეკერ-ფაშის წინამძღოლობითაო.

«დროების» ფოსტა.

ბ. ლ. მ—შვილს. არ გვესმის, რას უწყრებით რედაქციას: თუ ჩვენს გაზეთს თვალს ადევნებდით, ნახავდით, რომ თქვენს წინაამდეგ უზდელი ქცევა ღირსეულად გაიცხელი იყო. რაც შეეხება ღია-წერილის ბეჭდვას, ეს საქმე ჩვენ დაგვანებულად მიგვაჩნია.

მ. ა—შვილს. ბევრი ვწერეთ ნაცარქექია ფ—ძეზე,—ეყოფა.

ვანსხალეგანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 9 საათიდგან 1 საათამდინ.

ეოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: არუთინოვი—9 საათიდამ 10 საათამდინ შიგნეულ ავადმყოფობათა წამლობისათვის, ალიხანოვი და ლისიცევი—10 საათიდგან 11-დე შიგნეულ ავადმყოფობის წამლობისთვის, ექიმი-ქალი პოტაპოვისა—11 საათიდამ 12-დე დედა-კაცების და ბავშვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; შტემბორსკი—12 საათიდამ 1-მდე სირურგიული, სიფილისის და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისთვის.

ამას გარდა: ბორალევიჩი ორშაბათობით—10 საათიდამ 11-მდე შიგნეულ ავად-მყოფობის საწამლელად; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9 საათიდამ 10-მდე სირურგიული ავადმყოფობის საწამლელად; რეიხი სამშაბათობით და შაბათობით 10 საათიდამ 11-მდე თვალის ავად-მყოფობის საწამლელად; ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით 11½ საათიდამ 12½-ამდე შიგნეულ და ნერვების ავად-მყოფობის საწამლელად; იანკოვსკი სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12 საათამდე შიგნეული ავადმყოფობის და სიფილისის საწამლელად; ძრასნოგლიადოვი—ოთხშაბათობით და პარასკევობით 10 საათიდამ 11-მდე შიგნეული ავად-მყოფობისა წამლებისთვის.

ებიდის ავადმყოფობის ექიმი ვოლფონი ეოველს დროს მიიღებს თავის სახლში ღარიბ ავად-მყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

(3—1)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |